ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 249

26 დეკემბერი , 2016 წელი

ქ. თბილისი

ჩვენ, ერთის მხრივ, **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის **ივანე ქუმარიტაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, ააიპ კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ წარმოდგენილი გენერალური მენეჯერის **თორნიკე რაზმაძის** სახით (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის გათვალისწინებითა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის ,,გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიების" **(ორგ. კოდი 38 01 03)** დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული დიზაინის შესაბამისად 70 ცალი მისალოცი ბარათის (CPV – 22320000) სახელმწიფო შესყიდვა.(იხ. დანართი #1)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს - 199.50 (ას **ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.3 ერთეულის ღირებულებები მითითებულია ხელშეკრულების დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1. "მიმწოდებელი" საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 2016 წლის 27 დეკემბრისა.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია, მიაწოდოს შემსყიდველს ახალი, ექსპლოატაციაში არ მყოფი საქონელი.

4.3. საქონლის მიწოდების ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის შეჩერებულია "შემსყიდველის" მიზეზით.

4.4. საქონლის მიწოდების ადგილია ,,შემსყიდველის" ადგილსამყოფელი, ქ. თბილისი, გ. გულუას 6, საქრთველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებენ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - ეკატერინე ბენდელიანი და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქსელის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი - ავთანდილ იმნაძე.

5.2. ინსპექტირება გულისხმობს "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

5.3. "შემსყიდველი" ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ინსპექტირებას უზრუნველყოფს საკუთარი რესურსითა და პერსონალით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".

5.4. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით, "შემსყიდველს" წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

6.4. "შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქსელის ადმინისტრირების სამმართველოს მთავარ სპეციალისტს - კახა შენგელიას.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშფაქტურისა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია) და მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მიმწოდებლის ქმედებით ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შედეგების დადგომისას, მიწოდებული საქონლის ღირებულება გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მე-7 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში.

8.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

8.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების მე-2 მუხლით, დანართით და ამავე ხელშეკრულების სხვა პირობებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ყველა უზუსტობა.

ბ) სრულად აანაზღაუროს მისი ბრალეულობითა და დაუდევრობით გამოწვეული მატერიალური ზარალი.

გ) დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა შეადგენს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

9.6. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ დაუყოვნებლივ, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს კომუნიკაციის ელექტრონული შაშუალების გამოყენებით ან/და გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო

ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 1 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება (განსაკუთრებულ შემთხვევებში გონივრულ ვადაში) აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, 2017 წლის 28 იანვრის ჩათვლით.

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება, მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი - "მიმწოდებელს".

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6 ტელ/ფ: 2727200, 2727220, 2727237 ელ/მ: www.moe.gov.ge ს/კ: 204861943 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, ა/ა: 200122900	აიპ კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ მის: ქ. თბილისი, ძმები უბილავების ქ #8. ტელ/ფ: 2 776307, ს/კ: 206062990 საბანკო რეკვიზიტები: სს ,,ტერაბანკი'' ბანკის კოდი: TEBAGE22 ა/ა: GE46KS0000000000425916
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ივანე ქუმსიტაშვილი	გენერალური მენეჯერი თორნიკე რაზმაძე
---	---

მე შემსყიდველის მხრიდან ხელისმომწერი, მიმწოდებლის მიმართ, სრულად ვაცნობიერებ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) დადგენილ წესებს.

დანართი #1

№	CPV	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ენა	ერთ. ფასი
1	22320000	2017 გილოცავთ შობა-ახალ წელს სოლომონ პავლიაშვილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე	20	ქართული	2.85
2		2017 Happy New Year Solomon Pavliashvili First Deputy of Environment and Natural Resources Protection of Georgia	5	ინგლისური	
3		2017 გილოცავთ შობა-ახალ წელს მაია ბითაძე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე	20	ქართული	
4		2017 Happy New Year Maia Bitadze Deputy of Environment and Natural Resources Protection of Georgia	10	ინგლისური	
5		2017 გილოცავთ შობა-ახალ წელს ეკატერინე გრიგალავა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე	15	ქართული	
				ღირებულება:	199.5

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

ივანე ჭუმაოიტაშვილი

ააიპ კავშირი
ადამიანებისათვის
განსაკუთრებულ
ზრუნვას რომ საჭიროებენ

თორნიკე რაზმაძე